



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

07.04.2014

№ 13

სარჩევი

| | |
|--|----|
| საქართველო..... | 3 |
| ხუდონჰესის პროექტი მსოფლიო ბანკის სტანდარტებით ხორციელდება | 3 |
| რეგიონი | 5 |
| Statoil-ი აზერბაიჯანული პროექტებიდან წილების გადაცემას რამდენიმე კვირაში დაასრულებს | 5 |
| სომხეთის მთავრობა მეწამორის ატომური ელექტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოებს რუსული სესხით განახორციელებს | 6 |
| თურქეთი მსფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი კაშხლისა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას იწყებს | 7 |
| თურქეთის არჩევნების ჩაბნელებაში დამნაშავე ნაპოვნია: კატა | 8 |
| რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები | 9 |
| სამხრეთ ნაკადის მილსადენის პროექტის განხორციელება ექვექვემ დგას | 9 |
| Total-ი შესაძლოა Lukoil-თან პარტნიორობით რუსეთის ფიქალის გაზის პროექტში ჩაერთოს | 10 |
| Gazprom-მა უკრაინას გაზის საფასური გაუზარდა..... | 11 |
| ევროპა | 12 |
| გაზის პროექტები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში წინ მიიწევენ | 12 |
| EBRD-ი რუმინეთის მზის სადგურის პროექტს დააფინანსებს..... | 14 |
| მსოფლიო..... | 15 |
| ნიგერია აფრიკის უდიდესი ნავთობმომპოვებელი ქვეყნის სტატუსს კარგავს | 15 |
| ჩინეთი ენერგოდივერსიფიკაციისთვის განახლებადი ენერჯის წყაროებს ავითარებს.. | 16 |
| რუსეთმა ირანთან 20-მილიარდიანი შეთანხმება გააფორმა | 17 |
| ანალიტიკა | 17 |
| აშშ-ს ფიქალი ბრიტანეთის ეკონომიკაში იაფ ამერიკულ ნახშირს ნიშნავს..... | 17 |

ხუდონჰესის პროექტი მსოფლიო ბანკის სტანდარტებით ხორციელდება

მსოფლიო მასშტაბით ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის დაახლოებით 50-წლიანი გამოცდილება; პროექტები, რომელთა ღირებულება 1.5 მილიარდ აშშ დოლარსაც აღემატება; ინდოეთში აშენებული 1500 მეგავატი სიმძლავრის ნატპა ჯაჰრის, ჩამერას, მანერი ბჰალის და სხვა ჰიდროელექტროსადგურები, - ეს არასრული ინფორმაციაა იმ ინვესტორი კომპანიების შესახებ, რომლებიც საქართველოში ხუდონჰესის მშენებლობას გეგმავენ.

| | |
|---------------------------------------|----------------------------------|
| მთლიანი საპროექტო ღირებულება | 1 მილიარდ 200 მილიონი აშშ დოლარი |
| დადგმული სიმძლავრე | 702 მგ.პ. |
| საშუალო წლიური გამოიმუშავება | 1 მილიარდ 500 მილიონი კ.ვტ.სთ. |
| ჯაშხლის ტიპი | თაღოვანი ჯაშხალი |
| ჯაშხლის სიმაღლე | 200 მ. |
| ჯაშხლის თხემის სიგრძე | 534 მ. |
| ჯაშხლის ზაღა/კვანა ნაწილის სიმაღლე | 8,1/34,2 მ. |
| წყალსაცავის სარაის ზაღა/ვირის ფართობი | 5,28 ჰმ ² (528 ჰა.) |

სვანეთში 702 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროპროექტის მშენებლობას „ტრანსელექტრიკა ჯორჯია“ აპირებს, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი „ტრანსელექტრიკა ლიმიტედა“, „ტრანსელექტრიკას“ პარტნიორი ორგანიზაცია კი - „კონტინენტალ კონსტრაქშენია“.

აღნიშნული კომპანიების ხელმძღვანელმა პირებმა „თბილისი მარიოტში“ სპეციალური პრეზენტაცია გამართეს და ხუდონჰესის პროექტთან დაკავშირებით ქართველი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს.

„კონტინენტალ კონსტრაქშენის“ დამფუძნებელი მოჰინდერ ვერმა აცხადებს, რომ ხუდონჰესის პროექტი ინვესტორთა ჯგუფს სათანადოდ აქვს შესწავლილი და საამისოდ საკუთარი გამოცდილების გარდა საერთაშორისო ექსპერტებიც დაიხმარეს.

„პროექტი რამდენიმე კუთხით შევისწავლეთ, მათ შორის იყო ფინანსური, ტექნიკური და გარემოზე ზემოქმედების საკითხები, ასევე იყო მთავრობის ფაქტორი. 2005 წელს ვეწვიე პირველად სოფელ ხაიშს და კაშხლის სავარაუდო ადგილმდებარეობას გავეცანი. მას შემდეგ არაერთხელ ვიყავი ჩასული. 27-ზე მეტი კაშხალი და შესაბამისი ნაგებობა გვაქვს აშენებული... მინდა, დავარწმუნო ყველა, რომ ხუდონის პროექტს

სტანდარტების შესაბამისად, უმოკლეს ვადებში და ქვეყნისთვის მინიმალური შესაძლო დანახარჯებით განვახორციელებთ. პროექტში ჩვენი რესურსი ფინანსურის გარდა ტექნიკური კვალიფიკაციაა. აქვე გეტყვით, რომ ხუდონჰესის პროექტი მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი წესებით ხორციელდება, სწორედ ამიტომ, ჩატარებულ კვლევებში უამრავ საერთაშორისო და ცნობილ ორგანიზაციას აქვს მონაწილეობა მიღებული“, - განმარტავს მოჰინდერ ვერმა.

ბიზნესწრებში ცნობილი ინდური ოჯახის კანსაგრების შთამომავალი, ინვესტორი ბუპენდრა კანსაგრა კი აქცენტს საქართველოსთვის ხუდონის პროექტის მნიშვნელობასა და ეკონომიკურ სარგებელზე აკეთებს: „მას შემდეგ, რაც მივიღებთ საქართველოს მთავრობისგან ნებართვას ხუდონჰესის პროექტის განხორციელების შესახებ, შევძლებთ, უფრო კონკრეტულად ვიმუშაოთ ინვესტორებთან, რათა მათაც შეიტანონ საკუთარი წვლილი პროექტის წარმატებაში. მოხარული ვარ იმ მხარდაჭერით, რასაც საქართველოს მთავრობა ჩვენ მიმართ ავლენს და ვიმედოვნებთ, ეს გაგრძელდება.“

ინვესტორთა განმარტებით, ხუდონჰესის მშენებელი „ტრანსელექტრიკა ჯორჯია“ საქართველოშია რეგისტრირებული და ყველა გადასახადს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაიხდის, ოფშორში კი მხოლოდ მის მფლობელ ერთ-ერთი კომპანიას აქვს რეგისტრაცია გავლილი, რაც მათი განმარტებით, საგადასახდო ფაქტორებს უკავშირდება.

„კონტინეტალ კონსტრაქშენის“ დამფუძნებელი განმარტავს, რომ ხუდონის პროექტის კონტექსტში ხაიშელების პრობლემის შესახებ სათანადო ინფორმაცია აქვს და ადგილობრივებთან დიალოგს მომავალშიც გაგრძელებენ.

ხუდონჰესის პროექტის მნიშვნელობასა და ჰიდრორესურსების ათვისების აუცილებლობაზე საუბრობს „ტრანსელექტრიკა - ჯორჯიას“ წარმომადგენელი დავით მირცხულავაც.

„უფალს აზერბაიჯანისთვის ნავთობი აქვს მიცემული, საქართველოსთვის - ჰიდრორესურსები და ჰიდროენერჯია, რომლის გამოუყენებლობა რაციონალური არ იქნება. ევროპაში ვერ ნახავთ ქვეყანას, რომელსაც ჰიდრორესურსი გააჩნია და მისი ათვისების დონე არ არის 95%. მაგალითად, ნორვეგიას, რომელსაც აზერბაიჯანზე არანაკლები გაზი და ნავთობი აქვს, 3600 კაშხალი აქვს აშენებული. ევროპაშიც აქტიურად აშენებენ კაშხლიან წყალსაცავებს“, - განმარტავს დავით მირცხულავა.

საქართველოს მთავრობის ნებართვის შემთხვევაში ხუდონჰესის პროექტის მშენებლობა მიმდინარე წლის მესამე კვარტალში დაიწყება.¹

¹ http://bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=24116%3A2014-03-31-06-56-01&catid=939%3A2011-11-06-17-42-27&lang=ka

Statoil-ი აზერბაიჯანული პროექტებიდან წილების გადაცემას რამდენიმე კვირაში დაასრულებს

BP აზერბაიჯანის „შაჰ-დენიზის“ ვიცე-პრეზიდენტის ალ კუკის ცნობით, Statoil-ი „შაჰ-დენიზისა“ და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) პროექტებიდან საკუთარი წილების გადაცემას რამდენიმე კვირაში დაასრულებს.

ნორვეგიულმა კომპანიამ 2013 წლის დეკემბერში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ის პროექტებში თავისი 25.5%-იანი წილიდან სხვა კომპანიებს 10%-ს უთმობს. აქციათა 6.7%-ს SOCAR-ი, ხოლო 3.3%-ს BP შეისყიდის.

კუკი იმედოვნებს, რომ წილების გადაცემის ოპერაციები უახლოეს კვირებში დასრულდება.

ტრანზაქციების დასრულების შემდეგ „შაჰ-დენიზის“ პროექტში წილები შემდეგნაირად გადანაწილდება: BP-ოპერატორი - 28.8%, SOCAR-ი - 16.7%, Statoil-ი - 15.5%, Total-ი - 10%, Lukoil-ი - 10%, NICO - 10% და TPAO - 9 percent.



კუკის განცხადებით, BP Total-თან მოლაპარაკებებს არ აწარმოებს წილის გადაცემის თაობაზე.

BP-ის ვიცე-პრეზიდენტის ცნობით, „შაჰ-დენიზის“ მეორე ეტაპის ფარგლებში თურქეთისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება 2018 წლის ბოლოსთვის იგეგმება, ხოლო ევროპა ბუნებრივ აირს ერთი წლით გვიან მიიღებს. მისივე განცხადებით, ყველა პროექტი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

„რაც შეეხება შაჰ-დენიზის მესამე ფაზის განვითარებას, 2007 წლიდან დღემდე კონსორციუმმა 3 სავარაუდო საბადო აღმოაჩინა და ჩვენი გუნდი კვლავ აგრძელებს სეისმური მონაცემების დამუშავებას და ახალი რეზერვების პოტენციალის შესწავლას. შაჰ-დენიზი 3-ის პროექტი ამჟამად შეფასების სტადიაზეა და ჩვენ მის ფარგლებში ბურღვას დეკადის დასრულებამდე არ დავიწყებთ“ - აცხადებს კუკი.

შაჰ-დენიზის რეზერვი დაახლოებით 1.2 ტრილიონი კუბ. მ. ბუნებრივი აირია. საბადოს განვითარების მეორე ეტაპი დაახლოებით 25 მლრდ აშშ დოლარი დაჯდა.

საბადოს განვითარების მეორე ეტაპი წლიურად 16 მლრდ კუბ.მ. ბუნებრივი აირის წარმოებას ითვალისწინებს, საიდანაც კონსორციუმში 6 მლრდ-ს თურქეთს, ხოლო 10 მლრდ-ს ევროპას მიაწვდის.

Statoil-ი აზერბაიჯანში 1992 წელს შევიდა. მას აზერი-ჩირაგ-გუნეშლის საბადოში 8.56%-იანი წილი, ხოლო „შაჰ-დენიზის“ საბადოსა და შესაბამის მილსადენში (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი) 15.5%-იანი წილი აქვს. მან აზერბაიჯანულ კონსორციუმთან ერთად შაჰ-დენიზის საბადოს განვითარების მეორე ეტაპის საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილება 2013 წლის 17 დეკემბერს მიიღო, რომლის შედეგადაც აზერბაიჯანი-საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ კავკასიური გაზსადენის გაფართოვების, თურქეთის ტერიტორიაზე ტრანს-ანატოლიური გაზსადენისა (TANAP) და საბერძნეთის, ალბანეთისა და იტალიის ტერიტორიაზე კი ტრანს-ადრიატიკული გაზსადენის (TAP) მშენებლობის საკითი გადაწყდა.

ეს პროექტები ერთობლივად ევროპისთვის ბუნებრივი აირის ახალ სამხრეთ დერეფანს შექმნის. „შაჰ-დენიზი 2“-სა და SCP-ის განვითარების პროექტებში ერთობლივად დაახლოებით 28 მლრდ აშშ დოლარი დაიხარჯება.

Statoil-ი TANAP-ის პროექტის ინვესტორი არ იქნება. ის TAP-ს მფლობელი TAP AG-ის 20%-ს ფლობს, რომელიც თურქეთიდან ევროპაში მიმავალ გაზსადენს აშენებს.²

სომხეთის მთავრობა მეწამორის ატომური ელექტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოებს რუსული სესხით განახორციელებს

სომხეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა არმენ მოვსისიანმა უარყო მედიის მეშვეობით გავრცელებული ცნობა, თითქოს სომხეთის მთავრობა აღარ აპირებს მეწამორის ატომური ელექტროსადგურის ახალი ატომური სადგურით ჩანაცვლებას და განაცხადა, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამო მთავრობა ვერ ახერხებს შესაბამისი დაფინანსების მოპოვებას, რის გამოც პროექტის განხორციელება გარკვეული ვადით გადაიდო.



2012 წელს სომხეთის მთავრობამ მეწამორის ატომური ელექტროსადგურის რეაბილიტაცია და მისი სასიცოხლო ციკლის კიდევ 10 წლით გახანგრძლივება გადაწყვიტა. შემდეგ სომხეთში საუბარი დაიწყო ახალი ატომური ელექტროსადგურის

² http://www.azernews.az/oil_and_gas/65534.html

მშენებლობის შესახებ, თუმცა 2014 წლის 27 მარტს სომხეთის მთავრობა აცხადებს, რომ პირველ რიგში ძველი სადგურის სასიცოცხლო ციკლის გაზრდას გეგმავს, რაშიც მას რუსული კომპანია Rosatom-ის მიერ ჩატარებული კვლევა და სამუშაოები და რუსული სესხი დაეხმარება.

მინისტრის ცნობით, მთავრობა ყველა ზომას იღებს, რათა ატომური ელექტროსადგურის უსაფრთხოება გაზარდოს. ამასთანავე, მოვსისიანი ჟურნალისტებს დაჰპირდა, რომ ახალი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის კუთხითაც სომხეთის მთავრობის მუშაობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდება.

მეწამორის ელექტროსადგური ერევნის დასავლეთის 30 კილომეტრში 1970 წელს აშენდა, თუმცა 1988 წელს მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის გამო, რომლის შედეგადაც 25 000 ადამიანი დაიღუპა და ჩრდილოეთ სომხეთის დიდი ნაწილი დაინგრა, დაიხურა.

1995 წელს ელექტროსადგურზე VVER 440-V230 ტიპის მსუბუქი წყლის 2-მა რეაქტორმა მუშაობა განაახლა.

სომხეთის ხელისუფლების ცნობით, ახალი ატომური ელექტროსადგური საბჭოურ სადგურზე 2-ჯერ მეტი ენერჯის გამომუშავებას შეძლებს. მეწამორი კი ამჟამად სომხეთის ელ.ენერჯის 40%-ს გამოიმუშავებს. გეგმა ამბიციურია, თუმცა სომხეთის მთავრობას პროექტის განხორციელებამდე, რომლის აშენებასაც 2019-2020 წლისთვის გეგმავს, 5 მლრდ. აშშ დოლარის მოძიება მოუწევს.³

თურქეთი მსფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი კაშხლისა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას იწყებს

თურქეთმა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით საქართველოს საზღვართან მდებარე ქალაქ ართვინთან მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი თაღოვანი კაშხლისა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო. იუსუფელის კაშხალი, რომლის სავარაუდო სიმაღლეა 270 მ და ჰესი თურქეთში თაღოვან კაშხლიანი პირველი სადგური იქნება. თურქული კომპანიები „ლიმაკი“ და „ჩენგიზი“ მას მდინარე ჭოროხზე ააშენებენ. მდინარე სათავეს თურქეთში - ართვინის პროვინციაში იღებს და საქართველოში, ბათუმის სამხრეთით, შავ ზღვაში ჩაედინება.

თურქეთის გათვლებით, ქვეყანას 71 მილიარდი კვტ.სთ ჰიდროგენერაციის პოტენციალი აქვს, რომლისგანაც მხოლოდ ჭოროხის აუზზე 16 მილიარდი კვტ.სთ მოდის.

³http://arka.am/en/news/economy/government_reaffirms_extension_of_service_life_of_armenian_nuclear_power_plant_for_10_years/?sphrase_id=1481130;http://arka.am/en/news/business/armenia_s_government_to_use_russian_loan_for_extension_of_npp_operations/?sphrase_id=1481694

ვარაუდობენ, რომ 2018 წლისათვის, კაშხლისა და ჰესის დასრულების შემდეგ, სადგური თურქეთის ჰიდროგენერაციის 18%-ს აწარმოებს და მთლიანი ენერგომოთხოვნის 6%-ს დააკმაყოფილებს.

თაღოვანი კაშხალი დაპროექტებულია ისე, რომ თადის უკანა მხარეს წყალის კუმშვის შედეგად წარმოიქმნება დაწნევა - ჰიდროსტატიკული წნევა, რაც ამაგრებს კაშხლის სტრუქტურას და თან წარმოქმნის ენერგიას.

ამჟამად მსოფლიოში ორი ყველაზე მაღალი თაღოვანი კაშხალი ჩინეთშია - ცინპინის კაშხალი - 305მ და ქსილუდუს კაშხალი - 285.5მ, ხოლო ენგურის კაშხალი, რომლის სიმაღლე 271.5 მ-ია, ამჟამინდელი მდგომარეობით მსოფლიოს თაღოვან კაშხლებს შორის სიმაღლით მეოთხე ადგილზეა.⁴

თურქეთის არჩევნების ჩაზნელებაში დამნაშავე ნაპოვნია: კატა

როგორც ენერგეტიკის მინისტრმა თანერ ილდიზმა განაცხადა, 30 მარტს ადგილობრივი არჩევნების ხმის დათვლის დროს ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზი



კატა იყო, რომელიც გამანაწილებელ ბლოკში შევიდა და რომელსაც, სავარაუდოდ, დენმა დაარტყა.

„მეგობრებო, მე არ ვხუმრობ. კატა შევიდა კვების გამანაწილებელ ბლოკში. ეს გახდა (ანკარაში) ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზი და ეს არ არის პირველი შემთხვევა.

არასწორია ამ შემთხვევის არჩევნებთან დაკავშირება. არასწორია იმის ძახილი, რომ ეს „უსამართლო თამაშია“, - აღნიშნა ილდიზმა ანკარაში ჟურნალისტებთან საუბრისას.

„ისინი, ვინც „გეზის პარკის“ (პროტესტის) ხეებსა და მწვანე ნარგავებს იყენებდნენ საკუთარი მიზნებისთვის, ახლა ელექტრონულ ბომბებს იყენებენ. ეს არასწორია. ოპოზიციურ პარტიებმა მოიგეს რაიონებში, სადაც მათ ეს საჩივრები შეიტანეს. ისინი იქცევიან სტუდენტებივით, რომელთაც კარგად არ მოამზადეს თავიანთი საშინაო დავალება.“, - თქვა ილდიზმა.

არჩევნების ღამეს ილდიზმა განაცხადა, რომ ქალაქებში ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზი ქარიშხალი და ძლიერი თოვლი იყო.⁵

⁴ <http://www.turkiyenewspaper.com/Economics/4476-turkey-constructs-worlds-third-tallest-hydro-plant.aspx>

⁵ <http://www.hurriyetdailynews.com/turkish-elections-power-blackout-culprit-found-a-cat.aspx?pageID=238&nID=64393&NewsCatID=341>

სამხრეთ ნაკადის მილსადენის პროექტის განხორციელება ეჭვქვეშ დგას

იტალიის ნავთობკომპანიის - ენის (Eni) აღმასრულებელმა დირექტორმა განაცხადა რომ, ახალი სამხრეთის ნაკადის მილსადენის პროექტი, რომელმაც რუსეთიდან ევროპის მიმართულებით უნდა გაიტანოს გაზი, ეჭვქვეშ დადგა. მიზეზად კი უკრაინის ესკალაცია დასახელდა.



რომში გამართულ საპარლამენტო მოსმენაზე პაოლო სკარონიმ აღნიშნა, რომ მილსადენის მომავალმა პროექტმა „გარკვეულწილად ბუნდოვანი“ სახე მიიღო.

„სამხრეთ ნაკადის“ მამტაბური პროექტი, რომელსაც შეუძლია ევროპას მიაწოდოს 60 მილიონი კუბური მეტრი გაზი, რუსეთის ინტრუმენტად განიხილება, რომლის მეშვეობითაც იგი ცდილობს გაიმყაროს პოზიცია, როგორც ევროპაში ბუნებრივი აირის მიმწოდებელმა ქვეყანამ, მაგრამ რუსეთის მიერ ყირიმის ხელში ჩაგდების შემდეგ მოსკოვსა და დასავლეთს შორის გამწვავდა დამაბულობა, რამაც აიძულა ევროკავშირი განეცხადებინა, რომ პროექტის განხორციელების შესახებ მოლაპარაკებების დროებით შეჩერებას აპირებენ.

2 400 კმ-იანი (1 500 მილი) მილსადენი, რომელსაც სათავეში რუსეთის Gazprom-ი უდგას, გეგმის მიხედვით, 2018 წლისათვის სრულად დაიტვირთება, მისი სავარაუდო ღირებულება კი 17 მილიარდი ევრო (23.4 მილიარდი აშშ დოლარი) იქნება.

გარდა Gazprom-ისა და Eni-სა პროექტის სხვა აქციონერებად გვევლინება ფრანგული კომპანია „იდიფი“ (EDF) და გერმანული - „ვინტერშელი“ (Wintershall).

სკარონიმ განაცხადა, რომ უკრაინის კრიზისმა საფრთხის ქვეშ დააყენა მილსადენების რთული კომპლექსის ნებართვების გაცემის პროცესი, რომელმაც გვერდი უნდა აუაროს უკრაინას და შავის ზღვის გავლით შეუერთდეს რიგ ევროპულ ქვეყნებს.

მანვე აღნიშნა, რომ პროექტის დასასრულებლად საჭირო ნებართვების გაცემა, რომელიც ევროპული ქვეყნების კომპეტენციაში შედის, ასევე ეჭვქვეშ დადგება.

რუსეთი უკვე დიდი ხანია ცდილობს შეამციროს თავისი დამოკიდებულება უკრაინაზე - მილსადენების გატარების კუთხით. ევროპის მიმართულებით გაზის ექსპორტის ნახევარი უკრაინის გავლით ხდება.

ამ თვის დასაწყისში Gazprom-მა განუცხადა იტალიურ კომპანია „საიპემს“ (Saipem), რომ მზად არის განახორციელოს 2 მილიარდი ევროს ღირებულების პროექტი - პირველი წყალქვეშა მილსადენი.⁶

Total-ი შესაძლოა Lukoil-თან პარტნიორობით რუსეთის ფიქალის გაზის პროექტში ჩაერთოს

ფრანგულმა ენერჯო კომპანია Total-მა შესაძლოა რუსულ Lukoil-თან ერთად ერთობლივი საწარმო შექმნას, რომელიც რუსეთის ფიქალის გაზის მოპოვებაზე იქნება ორიენტირებული. Lukoil-ი ამჟამად მოპოვებით სამუშაოებს „ბაჟენოვის“ ტერიტორიაზე ახორციელებს, რომელიც ამერიკის ენერჯეტიკის დეპარტამენტის (DoE) ცნობით, შესაძლოა, მსოფლიოში უდიდეს ფიქალის გაზის რეზერვებს შეიცავდეს, თუმცა ამ დრომდე კომერციული ხასიათის წარმოება აღნიშნულ საბადოზე არ მიმდინარეობს.



ბაჟენოვის საბადოსა და რუსეთის ფიქალის სხვა პროექტებზე დიდი ინტერესი მას შემდეგ გაჩნდა, რაც 2013 წლის სექტემბერში ქვეყნის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა არატრადიციული ჰიდროკარბონების მოპოვების გადასახადი შეამცირა. პუტინის ეს გადაწყვეტილება დასავლეთ ციმბირში მოძველებულ ნავთობსაბადოებზე წარმოების შემცირებამ გამოიწვია.

მას შემდეგ, რაც აღნიშნული მიმართულებით გარკვეული შედეგები გამოცხადდა, რამდენიმე საერთაშორისო ნავთობკომპანიამ რუსულ ოპერატორებთან პარტნიორობის სურვილი გამოთქვა. მაგალითად, ამერიკული ExxonMobil-ი Lukoil-ის კონკურენტ კომპანია Rosneft-თან ერთად იმავე ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვებას ახორციელებს. DoE-ს შეფასებით რუსეთის ფიქალის მარაგები 75 მლრდ. ბარელ ნავთობს შეადგენს. ამ მარაგების ათვისების მიზნით რუსეთი ცდილობს მოიზიდოს დასავლეთის ნავთობ კომპანიების ექსპერტები არატრადიციული ნავთობის მიმართულებით. ამ

⁶ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=929ad8c4-3e0b-4a1a-a166-2fed4e0a4508>

კუთხით ფრანგულ Total-ს Chesapeake Energy-სთან პარტნიორობით დიდი გამოცდილება გააჩნია. ეს ორი კომპანია ერთობლივად მუშაობს ტეხასში „ბარნეთის“ ფიქალზე.

Lukoil-ი რჩება იმ ერთადერთ რუსულ კომპანიად, რომელიც დასავლელ პარტნიორებთან ერთად ფიქალის პროექტებში ჩართული არ არის, თუმცა Total-ი არ არის მისი ერთადერთი პოტენციური პარტნიორი. ბოლო დროს რუსულ კომპანიასთან თანამშრომლობის ინტერესი გერმანულმა Wintershall-მაც გამოთქვა.

Total-ი რუსეთში 1991 წლიდან აქტიურად მოქმედებს და ფრანგული კომპანია რუსეთის გაზის დამოუკიდებელი მწარმოებელი Novatek-ის 16%-ს ფლობს.⁷

Gazprom-მა უკრაინას გაზის საფასური გაუზარდა

რუსეთმა უკრაინას გაზის საფასური გაუზარდა. „როიტერის“ ცნობით, გაძვირება საექსპორტო ბაჟს უკავშირდება და უკრაინისთვის ათასი კუბ.მ ბუნებრივი აირი 2014 წლის მესამე კვარტალში 485 აშშ დოლარი ეღირება.

„მომავალში უკრაინელ მომხმარებლებთან ურთიერთობაში გაზის გატანაზე უნდა იხელმძღვანელოთ საყოველთაოდ დადგენილი საბაჟო გადასახადებით,“ – განუცხადა რუსეთის პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა Gazprom-ის ხელმძღვანელ ალექსეი მილერს.

თავის მხრივ მილერმა აღნიშნა, რომ ბაჟის შემოღების შედეგად, უკრაინის Naftogaz-ისთვის ბუნებრივი აირის საფასური ათას კუბ.მ-ზე 485 აშშ დოლარამდე გაიზარდება. მან ასევე აღნიშნა, რომ Naftogaz-ის დავალიანება Gazprom-ისადმი 2.2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.



Gazprom-მა პირველ აპრილს განაცხადა, რომ უკრაინისთვის გაზის საფასური 2014 წლის მეორე კვარტალში ათას კუბ.მ ბუნებრივ აირზე ფასი 385.5 აშშ დოლარამდე გაიზარდებოდა.

შეგახსენებთ, რომ აქამდე უკრაინისთვის ნულოვანი ბაჟი მოქმედებდა და პირველ კვარტალში 1 000 კუბ.მ ბუნებრივი აირის ფასი 268.5 აშშ დოლარი იყო.⁸

⁷ NewsBase FSU, Oil&Gas Monitor, Issue 776, 2 April 2014, Total may partner with LUKoil for Russian shale oil project

⁸ <http://news.ge/ge/news/story/84832-gazpromma-ukrainas-gazis-safasuri-gauzarda>

გაზის პროექტები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში წინ მიიწევი

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გაზის ინფრასტრუქტურის რამდენიმე პროექტი ნელ-ნელა, თუმცა სტაბილურად წინ მიიწევი და ამით რეგიონული ბაზრის შექმნას უწყობს ხელს.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ გაკეთდა განცხადება იმის შესახებ, რომ გარკვეული ტექნიკური სირთულეების აღმოფხვრის შედეგად 2014 წლის ივნისში მოხერხდება ბულგარეთისა და რუმინეთის დამაკავშირებელი გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება, რომელიც მანამდე სწორედ აღნიშნული დაბრკოლებების გამო გადაიდო. უშუალოდ კომერციული საქმიანობის დაწყება კიდევ დამატებით დროს მოითხოვს, ვინაიდან რუმინეთში საკომპრესორო სადგურია ასაშენებელი. 2015 წლის შუა



პერიოდისთვის, სავარაუდოდ, მისი მშენებლობა დასრულდება, თუ მიმდინარე მოლაპარაკებები წარმატებული იქნება.

ბულგარეთის ხელისუფლება შიშობს, რომ არ განმეორდეს უკრაინის გაზის 2009 წლის მსგავსი, ან უარესი კრიზისი. მათ უკვე საჯაროდ განაცხადეს იმის შესახებ, რომ ქვეყანა მოვლენების ასეთი განვითარებისთვის მზად არ არის. ამავე დროს, თურქეთთან დამაკავშირებელი მილის მშენებლობის პროექტიც უკვე შეთანხმებულია და 2016 წლის ბოლოსთვის, სავარაუდოდ, დასრულებული იქნება. საბერძნეთი-ბულგარეთის დამაკავშირებელი (IGB) მილსადენის მშენებლობის პროექტიც, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვანია სოფიასა და აზერბაიჯანის მხარეს შორის დადებული შეთანხმების შედეგად შაჰ-დენიზის 1 მლრდ. კუბ. მეტრი გაზის გამო, ამ წლის ბოლოსკენ შეწყდება და გაგრძელდება მხოლოდ 18 თვის შემდეგ.

ამ გაზსადენის მნიშვნელობა უდიდესია ორივე ქვეყნისათვის, ვინაიდან გულისხმობს ჩრდილოეთ საბერძნეთში თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) სადგურის მშენებლობას, სადაც შესაძლებელი იქნება გაზის ტრანსპორტირება კატარიდან. ბულგარეთის ენერჯეტიკის სამინისტროს შეფასებით, როცა საქმე ეხება თხევად ბუნებრივ აირს (LNG), ერთადერთი შესაძლო წყარო კატარია და იმპორტის განხორციელება მხოლოდ საბერძნეთის დახმარებითაა შესაძლებელი. სწორედ ამ მიზნით, DEPA (საბერძნეთის ბუნებრივი აირის სახელმწიფო კორპორაცია) გეგმავს, მოიძიოს დაფინანსება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან 400 მლნ. აშშ. დოლარის ღირებულების პროექტისთვის, რომელიც ეხება ეგეოსის ზღვაში კავალას რეგიონში LNG-ტერმინალის მშენებლობას.

გარდა ამისა, ტრანს-ადრიატიკული გაზსადენის (TAP) პროექტიც წინ მიიწევის იტალიის, საბერძნეთისა და ალბანეთის მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან თანხმობის მიცემის შემდეგ. უკვე ჩატარდა გაზსადენის საბაზრო ტესტირების პროცესი, სადაც მსოფლიოს მასშტაბით ოცი ენერჯო კომპანია იღებდა მონაწილეობას და ამჟამად მიმდინარეობს მისი პოტენციალის ათვისება, რაც წლიურად 10 მლრდ. კუბ. მეტრი ბუნებრივი აირის მოცულობისაა.

TAP-ის კონსორციუმსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის პირველი წინასწარი შეხვედრა გაიმართება მიმდინარე წლის 10 აპრილს შვეიცარიაში, სადაც მათ მიეწოდებათ შესაბამისი მონაცემები. შემდეგ, 5 მაისიდან 14 მაისამდე მოხდება შეთავაზებების წარდგენა. 2 ივნისისთვის მხარეები გაკეთებულ შეთავაზებებზე დასტურს მიიღებენ და 5 სექტემბრისთვის უკვე გაზსადენში შემავალი და გამავალი ბუნებრივი აირის დაზუსტებული მოცულობა უნდა შეთანხმდეს შესაბამისი ფასების მითითებით. სავარაუდოდ, 1-ლი ოქტომბრისთვის გაზის ტრანსპორტირების შეთანხმებას (GTA) ხელი უნდა მოეწეროს.

ბუნებრივი აირის პირველი ნაკადების შესვლა იტალიაში 2019 წლის შუა პერიოდისთვისაა დაგეგმილი და თუ შესაბამისი დაინტერესება იქნება, მილსადენში გატარებული მოცულობის გაორმაგებაც დაიწყება. საბერძნეთის მხრიდან DEPA-მ განაცხადა, რომ იგი ყოველწლიურად 1 მლრდ. კუბ. მეტრი ბუნებრივი აირის შესყიდვას აპირებს და როგორც ჩანს, იგი აღნიშნული გაზსადენის პროექტით ყველაზე მეტად დაინტერესებულ პარტნიორს წარმოადგენს.

TAP AG-ის დღევანდელი აქციონერები არიან BP (20%), SOCAR -ი(20%), Statoil-ი (20%), Fluxys-ი (16%), Total-ი (10%), E.ON (9%) და Axpo (5%).⁹

⁹ <http://www.naturalgaseurope.com/southeast-europe-gas-projects-gather-pace>

EBRD-ი რუმინეთის მზის სადგურის პროექტს დააფინანსებს

პორტუგალიურმა კომპანია EDP Renovaveis-მა რუმინეთის სამხრეთში ჯამურად 50 მგვტ. სიმძლავრის 6 მზის სადგურის მშენებლობისა და ოპერირებისათვის, EBRD-ისა და „შავი ზღვის ვაჭრობის განვითარების ბანკისგან“ (BSTDB) დაფინანსების ხელშეკრულება მიიღო. კომპანიის განცხადებით გრძელვადიანი სასესხო კონტრაქტის მოცულობა 41.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს და ბოლო ტრანზაქცია მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს განხორციელდება. ხელშეკრულების მიხედვით, EBRD-ი 27.6 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო BSTDB 13.8 მლნ. აშშ დოლარს სესხის სახით გამოყოფს. აღნიშნული შეთანხმება EDP Renovaveis-თვის აღმოსავლეთ ევროპაში უკვე მეშვიდე გარიგებაა, რომლის მთლიანი ღირებულება 696 მლნ. აშშ. დოლარს შეადგენს.



მზის სადგურის მშენებლობა EDP Renovaveis-ისა და EBRD-ის მეოთხე ერთობლივი პროექტია რუმინეთში. კომპანიამ ბანკის დახმარებით ქარის 3 ელექტროსადგური ააშენა. ამ დრომდე EBRD-იმ რუმინეთში 5 ქარის სადგურის მშენებლობა დააფინანსა. „2014 წელს რუმინეთში EDP Renovaveis-ის მზის სადგურის პროექტი ქვეყნის ენერგო სექტორის რიგით მესამე დაფინანსებას წარმოადგენს. გარდა ამ პროექტისა, რუმინეთის

ენერგეტიკაში მიმდინარე წელს 275 მლნ. აშშ. დოლარის ინვესტიცია განვახორციელეთ,“ - განაცხადა EBRD-ის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მიმართულების მმართველმა დირექტორმა რიკარდო პულიტიმ. მას შემდეგ რაც „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა“ რუმინეთში ოპერირება დაიწყო, ქვეყნის განახლებად ენერგო ბაზარში 233 მლნ. აშშ. დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

EBRD-ის ცნობით, რუმინეთის მზის ენერჯის სიმძლავრე 1 158 მგვტ.-ს შეადგენს, რაც საკმარისია 100 000 ოჯახის ელექტრო მომარაგებისთვის.¹⁰

¹⁰ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 707, 2 April 2014, EBRD to finance Romanian solar energy project

ნიგერია აფრიკის უდიდესი ნავთობმომპოვებელი ქვეყნის სტატუსს კარგავს

ბოლო პერიოდში ნიგერიის ნავთობმომპოვებელი ინდუსტრია კრიზისშია. ფორკადოს საბადოზე მომხდარმა ყაჩაღობამ დააზარალა მთლიანად ინდუსტრია და მოპოვება თვიდან თვემდე მცირდებოდა. მასში დაგეგმილი მოსაპოვებელი რაოდენობა



უმცირესია 2009 წლის შემდეგ. მასში ნიგერიის დღიური ექსპორტი დაახლოებით 1.59 მილიონი ბარელი იქნება. ეს მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩება 2011 წელს მიღწეულ შედეგს, როცა მოპოვება დღეში საშუალოდ 2.2 მილიონი ბარელი იყო.

მაისის თვის მონაცემების მიხედვით, ნავთობის ექსპორტში ნიგერიას, დიდი ალბათობით, ანგოლა გაუსწრებს, რომელიც ჩვეულებრივ აფრიკის სიდიდით მეორე ექსპორტიორი იყო. „როიტერის“ ინფორმაციით, ანგოლას მაისი თვის ექსპორტი დღეში 1.67 მილიონი ბარელი იქნება.

ფორკადოს საბადოზე მომხდარმა ფაქტმა ძლიერ დააზარალა საბადო და მისმა ოპერატორმა კომპანია Shell-მა ფორს-მაჟორული სიტუაცია გამოაცხადა. საბადოზე დიდი რაოდენობით ნავთობის ქურდობა დაფიქსირდა; ბოროტმოქმედებმა ნავთობსადენის დაზიანებით გაიტაცეს ნავთობი. წინა წელს მსგავსი პრობლემები იყო აგრეთვე ბონის საბადოზე.

ნავთობით მოვაჭრეების განცხადებით, მაისის თვეში ფორკადოს საბადოდან მოპოვება ვერ განხორციელდება. მოპოვება დაზიანებული ნავთობსადენის აღდგენის შემდეგ დაიწყება. ნიგერიაში იმედოვნებენ, რომ დაზიანების აღდგენის შემდეგ ქვეყანა კვლავ დაბრუნებს აფრიკაში ლიდერ პოზიციებს.¹¹

¹¹ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=9b9b052d-36dd-49f1-ab6a-048cdc8a3758>

ჩინეთი ენერგოდვერსიფიკაციისთვის განახლებადი ენერჯის წყაროებს ავითარებს

მსოფლიოს ნახშირის უდიდესი მომხმარებელი ჩინეთი ცდილობს გადაერთოს განახლებად (ქარის) და ატომურ ენერჯიაზე. ამჟამად ჩინეთი საკუთარი ენერჯის 68%-ს ნახშირისგან იღებს. წინა წელს ჩინეთში ქარის ენერჯით მიღებული ელ-ენერჯია 35%-ით გაიზარდა და 135 ტერავატ საათს მიაღწია, ასევე, 110 ტერავატ საათამდე გაიზარდა ატომური ენერჯის გენერაციაც.

2013 წლისთვის ჩინეთი უკვე ლიდერი ქვეყანა გახდა ქარის ენერჯიაში 91.4 გიგავატი დადგმული სიმძლავრით. ქარის გენერაციით მან ჩამოიტოვა და გაუსწრო ოთხ კონტინენტს; ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას, ავსტრალიასა და აფრიკას. ქარის ენერჯიაში ლიდერ სამ ქვეყანაზე აშშ-ს, ჩინეთსა, გერმანიაზე 2013 წლის მონაცემებით მოდის მსოფლიო ქარის ენერჯის 60%.



მასაჩუსეტის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (MIT) მიაჩნიათ, რომ უახლოეს მომავალში ჩინეთში გაიზრდება ატომური ენერჯის გენერაციაც. ენერჯეტიკის ექსპერტ მაიკლ დევიდსონის განცხადებით, ჩინეთი ქარისა და ატომური ენერჯის განვითარებით ცდილობს შეამციროს წიაღისეული საწვავების წვა და შესაბამისად ნახშირბადის ემისიები. ჩინეთის ენერჯო-მიქსში სულ უფრო იზრდება ამ ორი ენერჯის წილი და ასევე მათი საიმედოობაც.

MIT-ში მიაჩნიათ, რომ 2015 წლის ბოლოსთვის ატომური ენერჯის გენერაცია გადაუსწრებს ქარისას, მაგრამ ქარის ენერჯის ზრდის ტემპი უფრო სწრაფია, რადგან აქის მშენებლობასა და მისი ნებართვის მოპოვებას დიდი დრო სჭირდება. ამჟამად ჩინეთში 14 აესი ფუნქციონირებს, 8 კი მშენებლობის პროცესშია, რომელთა დასრულების შემდეგ ჩინეთს საშუალება ექნება სულ უფრო მეტად შეამციროს ნახშირისა და სხვა წიაღისეული საწვავის მოხმარება.

ქარი ჩინეთში სიდიდით მესამე ენერჯის წყაროა, ნახშირისა და ჰიდრო ენერჯის შემდეგ. ჩინეთი 2020 წლისთვის გეგმავს რომ მთლიან არაწიაღისეულ ენერჯო-მიქსში ქარის ენერჯის წილმა 15%-ს მიაღწიოს.¹²

¹² <http://euroasianews.com/china-moves-towards-renewables-to-diversify-energy-resources/>

რუსეთმა ირანთან 20-მილიარდიანი შეთანხმება გააფორმა

Reuters-ის ცნობით, რუსეთმა ირანთან 20 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის შეთანხმება გააფორმა. Reuters-მა იანვარში გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსული ტექნიკისა და საქონელის სანაცვლოდ ირანი რუსეთს ყოველდღიურად 500 ათას ბარელ ნავთობს მიაწვდიდა. შეთანხმება რამდენიმე ეტაპად უნდა განხორციელდეს. პირველი ტრანშის მოცულობა 8 მლრდ აშშ დოლარია. რუსეთი სავარაუდოდ ირანს დაეხმარება ბუმერის ბირთვული ელექტროსადგურის მეორე ბლოკის მშენებლობაში და სხვადასხვა ტექნიკას, მეტალს და სურსათს მიაწვდის. რუსული მხარე ამტკიცებს, რომ შეთანხმება ირანისათვის იარაღის მიწოდებას არ გეგმავს, თუმცა ირანელები აცხადებენ, რომ შეთანხმება რუსული რაკეტების მიწოდებასაც ითვალისწინებს.

ირანელი ოფიციალური პირების განცხადებით, ირანს კასპიის ზღვის გავლით შეუძლია რუსეთს ყოველდღიურად დაახლოებით 300 ათასი ბარელი ნავთობი მიაწოდოს. ირანელები იმასაც აღნიშნავენ, რომ რუსეთს ნავთობს საერთაშორისო ფასზე იაფად მიაწვდიან.¹³

ანალიტიკა

აშშ-ს ფიქალი ბრიტანეთის ეკონომიკაში იაფ ამერიკულ ნახშირს ნიშნავს

„ბრიტანეთის ნახშირის კომპანია“ კრიზისშია. ის ბრიტანეთის უდიდესი მომპოვებელია და წინა წელს ქვეყნის მოთხოვნის 30%-ს აკმაყოფილებდა. ბრიტანულ კომპანიას პრობლემები შეექმნა, მას შემდეგ, რაც აშშ-ში ფიქალის გაზის რეგულაციამ ამერიკული იაფი ნახშირი ბრიტანული რესურსის კონკურენტად აქცია. აშშ-ში ფიქალის ბუმის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა ნახშირის მოხმარება და ამერიკელმა მწარმოებლებმა ახალი ბაზრების ათვისება დაიწყეს.

წინა წელს ბრიტანულ კომპანიას ფინანსური სიძნელებები ჰქონდა, წინა კვირას კი განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში იძულებული იქნება ძირითადი სამი საბადოდან ორი დაკეტოს. ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ კემერონმა განაცხადა, რომ მთავრობა ყველაფერს გააკეთებს კომპანიის დასახმარებლად, რადგანაც მათ ამის საშუალება ჯერ კიდევ გააჩნიათ.

¹³ <http://news.ge/ge/news/story/84714-rusetma-irantan-20-miliardiani-shetankhmeba-gaforma>

„ბრიტანეთის ნახშირის კომპანია“ დღესდღეობით ქვეყნის მოთხოვნის მხოლოდ 8%-ს აკმაყოფილებს. მას უჭირს კონკურენცია გაუწიოს იაფ ამერიკულ ნახშირს, რომელიც აშშ-ში გამოთავისუფლდა ფიქალის გაზის რევოლუციის შემდეგ. 2012 წელს აშშ-მ ბუნებრივი აირის მინიმალური ოდენობის იმპორტი განახორციელა, 2013 წლისთვის კი საკუთარი მოთხოვნა მთლიანად ფიქალის გაზით დააკმაყოფილა. უფრო მეტიც, თბოსადგურების უმეტესობაც ბუნებრივ აირზე გადაერთო. ასეთ პირობებში ძალზედ



შეიზღუდნენ ამერიკული ნახშირის კომპანიები და მათ ახალი საექსპორტო ბაზრების ძიება დაიწყო.

EIA-ს ინფორმაციით, მთლიანად აშშ-ს ნახშირის ექსპორტი ევროპაში 2012 წლიდან 2013 წლამდე 8.5% შემცირდა, მაშინ როცა ბრიტანეთში ის 11.8%-ით გაიზარდა. ეს ხდება იმ ფონზე, როცა

თვით აშშ-ს ნახშირის ინდუსტრია წლიურად 4.2%-იან კლებას განიცდის.

თავად ბრიტანეთი ბოლო წლებში ენერგეტიკულ სიძნელებებს განიცდის. წიაღისეული საწვავების მოპოვების შემცირების გამო ქვეყანაში საბოლოო ენერჯის წარმოება წლიდან წლამდე 6.7%-ით მცირდება. საბადოების დახურვის გამო ნახშირის გამოშვება 24%-ით შემცირდა, მაგრამ ნახშირის როლი მაინც დიდია ბრიტანეთის ეკონომიკაში, რადგანაც ელ-ენერჯის გენერაციის 40.7% ნახშირზე მოდის.

კლიმატის ცვლილების ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ნახშირი წიაღისეულ საწვავებს შორის ყველაზე ნახშირბად-ინტენსიურია და გლობალური დაბინძურების უდიდესი ნაწილი სწორედ ნახშირის წვით არის გამოწვეული. ისინი ამტკიცებენ, რომ გაცილებით უფრო სუფთა ბუნებრივი აირის მოხმარებით საგრძნობლად შემცირდება ნახშირბადის ემისიები.¹⁴

¹⁴ <http://oilprice.com/Energy/Coal/U.S.-Shale-Means-Cheap-Coal-for-British-Economy.html>